როგორ გავზარდოთ განმავითარებელი შეფასების ეფექტურად გამოყენება ქ.თბილისის N 89 საჯარო სკოლის მე-8² კლასში

ხატია ხონელიძე; მარინე ხმალაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ბრეგვაძე (ასოცირებული პროფესორი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

მადლობა

მადლობას ვუხდით, ქალაქ თბილისის N89 საჯარო სკოლის დირექტორს, ქალბატონ მიმოზა ტყებუჩავას აქტიური თანამშრომლობისთვის. ასევე მადლობას ვუხდით მე-8[2] კლასის ისტორიის, ბიოლოგიის, ინგლისურის, მათემატიკის საგნის პედაგოგებსა და მოსწავლეთა ჯგუფს პრაქტიკის კვლევაში მონაწილეობისთვის.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით, ჩვენი პრაქტიკის კვლევის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ქალბატონ თამარ ბრეგვაძეს, რომელიც ეტაპობრივად გვაძლევდა რეკომენდაციებს და აქტიურად გვეხმარებოდა კვლევის სწორად წარმართვაში.

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

მარიამ ხმალაძე

ხატია ხონელიძე

09/06/2018

სარჩევი

აბსტრაქტი.....6

1. შესავალი 8

2. კვლევის მიზანი 11

3. საკვლევი კითხვები.....11

4. ლიტერატურის მიმოხილვა.....12

4.1. *შეფასების დანიშნულება და მისი ფორმები*.....12

4.2.*განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა*.....13

4.3. *განმავითარებელ შეფასებასთან დაკავშირებით გასათვალისწინებული კომპონენტები*.....15

4.4. ძირითადი გამოწვევები განმავითარებელი შეფასებისას.....17

4.4.1. *უცხოური კვლევების მიმოხილვა*.....17

4.4.2. *საქართველოში ჩატარებული კვლევების მიმოხილვა*.....27

5. პრაქტიკული კვლევა, როგორც კვლევის მეთოდი.....38

6. კვლევის მეთოდები.....41

7. დიაგნოსტირების ეტაპის მონაცემთა ანალიზი.....42

7.1. მასწავლებელთა კითხვარისა და ინტერვიუს შედეგები 42

7.1.1. *სასწავლო მიზნის ფორმულირება*……..…….....43

7.1.2. *საკლასი კლიმატი და თანამშრომლობა*…….....44

7.1.3. *კითხვის დასმის სტრატეგიები*…….....44

7.1.4. *უკუკავშირის მიწოდების თავისებურებები*…….....45

7.1.5. *განმავითარებელი შეფასების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა*…...46

7.2. მოსწავლეთა ფოკუს-ჯგუფის შედეგები……..…….....48

7.3. გაკვეთილებზე დაკვირვების შედეგები.....51

8. ინტერვენციების ეტაპები.....60

8.1.ინერვენციების აღწერა.....60

8.2.*მოსწავლეთა მიერ ინტერვენციების შეფასება*.....66

8.3. *მასწავლებელთა მიერ ინტერვენციების შეფასება*.....68

9. კვლევის შეზღუდვები.....72

10. დასკვნები და რეკომენდაციები......73

11. ბიბლიოგრაფია.....76

12. დანართი......78

12.1. დანართი #1: კითხვარი მასწავლებელთათვის დიაგნოსტირების ეტაპზე.....78

12.2. დანართი #2: მასწავლებელთა ინტრვიუს კითხვები დიაგნოსტირების ეტაპზე.....79

12.3. დანართი #3: მოსწავლეთა ფოკუს-ჯგუფის სახელმძღვანელო.....80

12.4. დანართი #4: დიაგნოსტირების ეტაპზე გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა.....82

12.5. დანართი #5: ინტერვენცია-შესასვლელი ბილეთის ფორმა.....101

12.6. დანართი #6: გასასვლელი ბილეთის ფორმა.....102

12.7. დანართი #7: შესასვლელ-გასასვლელი ბილეთის ფორმა.....103

12.8. დანართი #8 ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით კითხვების დასმა.....104

12.9. დანართი #9: უკუკავშირის ფორმა.....105

12.10. დანართი #10: პრეზენტაციის ზოგადი ანალიტიკური შეფასების რუბრიკა.....106

12.11. დანართი #11: მასწავლებელთა ფოკუს-ჯგუფის კითხვები ინტერვენციების შედეგების შესაფასებლად.....107

12.12. დანართი #12: მოსწავლეთა ფოკუს-ჯგუფის კითხვები ინტერვენციების შედეგების შეფასებისთვის.....108

აბსტრაქტი

აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს პრაქტიკის კვლევის ანგარიშს თემაზე: „როგორ გავზარდოთ განმავითარებელი შეფასების ეფექტურად გამოყენება“, რომელიც ჩავატარეთ ქალაქ თბილისის N89 საჯარო სკოლის მე-8^2 კლასში, მათემატიკის, ისტორიის, ინგლისურისა და ბიოლოგიის საგანზე.

ჩვენი კვლევის მიზანი იყო, სამიზნე სკოლის პედაგოგებთან ერთად გვემუშავა განმავითარებელი შეფასების პრაქტიკის გაუმჯობესებაზე და ამ გზით ხელი შეგვეწყო პასიური მოსწავლეების გააქტიურებისათვის.

კვლევის მიმდინარეობისას გამოვიყენეთ, როგორც რაოდენობრივი მეთოდით შედგენილი კითხვარი მასწავლებლებისთვის, ისე თვისებრივი მეთოდი - ინდივიდუალური სიღრმისეული ინტერვიუ მასწავლებლებთან, მოსწავლეთა ფოკუს-ჯგუფი და გაკვეთილზე დაკვირვება. ამ მეთოდების გამოყენებით დავადგინეთ ის მიზეზები, რის გამოც თავს არიდებდნენ მასწავლებლები განმავითარებელი შეფასების გამოყენებას სასწავლო პროცესში. მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შევიმუშავეთ და განვახორციელეთ ის ინტერვენციები, რომლებიც ჩვენი აზრით, ყველაზე მეტად იყო მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებული. ინტერვენციების შეფასების მიზნით, ჩავატარეთ ინტერვიუები როგორც კვლევაში მონაწილე მასწავლებლებთან, ისე მოსწავლეებთან.

პრობლემის კვლევისა და ინტერვენციების ანალიზის შედეგად, შევიმუშავეთ რეკომენდაციები მე-8^2 კლასის მასწავლებლებისთვის, რომელთა გათვალისწინებაც ჩვენი აზრით, გაუადვილებთ მათ სასწავლო პროცესი გახდეს ინტერაქტიული და მოსწავლეთა შეფასება იყოს უფრო ეფექტური. კვლევის ბოლოს კი წარმოდგენილია ჩვენი მიგნებები და დასკვნები.

საკვანძო სიტყვები: განმავითარებელი შეფასება, აკადემიური მოსწრება, მოტივაცია, სასწავლო პროცესი, სწავლის მეთოდი.

Abstract

This work presents the Practice Research Report on “How increase the effective use of formative assessment”, which took place in the eighth class of Tbilisi N89 Public School, Mathematics, History, English and Biology.

The aim of our research was to provide teachers with information about the importance of the formative assessment role in the studing/teaching process and how the targeted use of this assessment can help to activate passive students.

During the research we use as questionnaire for teachers prepared by the quantitative method, as qualitative method - individual in-depth interview with teachers, focus group of students and observe on the lessons. By using these methods, we identified the reasons why teachers avoid using the formative assessment method in the learning process. Based on the analysis of the obtained information, we developed and implemented the interventions, which in our view, were the most suitable for students' needs. In order to evaluate interventions, we conducted interviews with both teachers and pupils participating in the survey.

As a result of analysis of problem research and interventions, we have prepared recommendations for the teachers of grade eight, which in our opinion make their learning process interactive and students assessment more efficient. At the end of the research we present our findings and conclusions.

Key words: formative assessment, academic mark, motivation, learning process, learning method.